

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფარმედის მფლობელს და

მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ფარმედ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება / (ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფასს 9 გაცემული სესხების და სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებმა შეადგინა 20,770,492 ლარი ხოლო გაცემულმა სესხებმა 6,441,385 ლარი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა და რეზერვის ანარიცხების შესაქმნელად სავაჭრო მოთხოვნებისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ ხოლო გაცემული სესხებისთვის ზოგად მიდგომას, შესაბამისად ანარიცხები განისაზღვრება მენეჯმენტის ექსპერტული შეფასებისა და მსჯელობის საფუძველზე. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს ანაწილებს სხვადასხვა კატეგორიებში რისკიანობისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე (კატეგორია 1 დან კატეგორია 4-ის ჩათვლით). იქედან გამომდინარე რომ კომპანია იმყოფება განვითარების ადრეულ ეტაპზე არ გააჩნია რისკის შეაფასების ფორმალიზებული და სრულყოფილი მეთოდოლოგია როგორც სავაჭრო მოთხოვნების ასევე გაცემული სესხებისთვის.

უფრო მეტიც კომპანიას არ აქვს საკმარისი სტატისტიკური მონაცემები სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო ბარალის შესახებ და გაცემული სესხების საკრედიტო რისკის შესაფასებლად. აღნიშნულიდ გარემოებებიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხებისთვის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ბარალისა და რეზერვის სისრულესა და სიზუსტეში. იქედან გამომდინარე რომ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნული ფაქტის გავლენა არსებითია ჩვენი მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ანგარიშგებებზე მოდიფიცირებულია საკითხის შესაძლო გავლენის ეფექტის გათვალისწინებით მიმდინარე და შესადარის ინფორმაციაზე.

საგადასახადო აქტივი - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დარიცხული აქვს საგადასახადო აქტივი 886,118 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოიშვა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არარეზიდენტ საწარმოზე გაცემული სესხის დაბეგვრის შედეგად, კომპანიას შეუძლია დაიბრუნოს გადახდილი თანხა მას შემდეგ რაც მსესხებელი დაუბრუნებს სესხის ძირს, შესაბამისად კომპანია აღნიშნულ აქტივზე ქმნის რეზერვს სესხის რეზერვის პროპორციულად. გამომდინარე იქედან რომ კომპანიაში არ არსებობს სესხის რეზერვის შექმნის ფორმალიზებული ლმეთოდოლოგია მოსალოდნელი საკრედიტო ბარალის განსასაზღვრად ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით საგადასახადო აქტივების სისრულესა და სისწორეში. გამომდინარე რომ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნული ფაქტის გავლენა არსებითია ჩვენი მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ანგარიშგებებზე მოდიფიცირებულია საკითხის შესაძლო გავლენის ეფექტის გათვალისწინებით მიმდინარე და შესადარის ინფორმაციაზე.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობით ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ

არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობითი ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“

საქართველოს კანონის მე -6 მუხლის მე -7 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილი, რომელიც თარიღდება 2021 წლის 29 დეკემბრით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სანარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად სანარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგვემათ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებოდა თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი

იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

29 დეკემბერი 2021

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე



D1/97-21

29 დეკემბერი, 2021

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი შპს „ფარმედის“ მფლობელებსა და მენეჯმენტს**დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „ფარმედის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას**

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წილით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელებთ რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველო“

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2021 წლის 29 დეკემბერი

Rsm Georgia



შინაარსი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9-28

შპს ფარმედ
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი 2020

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის ანგარიში

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შპს „ფარმედი“ (შემდგომში - „კომპანია“) მმართველობით ანგარიშგებასთან მიმართებაში შპს „ფარმედის“ ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიშგება მომზადებული 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამოუკიდებელმა გამოსაშვებად 2021 წლის 29 დეკემბერს.

დირექტორი:



/დმიტრი ვასილენკო

მთავარი ბუღალტერი:

/ირინა გაბარაევა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ფარმედის მფლობელს და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ფარმედ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით გაპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფასს 9 გაცემული სესხების და სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებმა შეადგინა 20,770,492 ლარი ხოლო გაცემულმა სესხებმა 6,441,385 ლარი. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა და რეზერვის ანარიცხების შესაქმნელად სავაჭრო მოთხოვნებისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ ხოლო გაცემული სესხებისთვის ზოგად მიდგომას, შესაბამისად ანარიცხები განისაზღვრება მენეჯმენტის ექსპერტული შეფასებისა და მსჯელობის საფუძველზე. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს ანაწილებს სხვადასხვა კატეგორიებში რისკიანობისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე (კატეგორია 1 დან კატეგორია 4-ის ჩათვლით). იქედან გამომდინარე რომ კომპანია იმყოფება განვითარების ადრეულ ეტაპზე არ გააჩნია რისკის შეფასების ფორმალიზებული და სრულყოფილი მეთოდოლოგია როგორც სავაჭრო მოთხოვნების ასევე გაცემული სესხებისთვის. უფრო მეტიც კომპანიას არ აქვს საკმარისი სტატისტიკური მონაცემები სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალის შესახებ და გაცემული სესხების საკრედიტო რისკის შესაფასებლად. აღნიშნულიდ გარემოებებიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით დაერწმუნებულიყავით დებიტორული დავალიანებისა და გაცემული სესხებისთვის შექმნილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა და რეზერვის სისრულესა და სიზუსტეში. იქედან გამომდინარე რომ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნული ფაქტის გავლენა არსებითია ჩვენი მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ანგარიშგებებზე მოდიფიცირებულია საკითხის შესაძლო გავლენის ეფექტის გათვალისწინებით მიმდინარე და შესადრის ინფორმაციაზე.

საგადასახადო აქტივი - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დარიცხული აქვს საგადასახადო აქტივი 886,118 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოიშვა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არარეზიდენტ საწარმოზე გაცემული სესხის დაბეგვრის შედეგად, კომპანიას შეუძლია დაიბრუნოს გადახდილი თანხა მას შემდეგ რაც მსესხებელი დაუბრუნებს სესხის ძირს, შესაბამისად კომპანია აღნიშნულ აქტივზე ქმნის რეზერვს სესხის რეზერვის პროპორციულად. გამომდინარე იქედან რომ კომპანიაში არ არსებობს სესხის რეზერვის შექმნის ფორმალიზებული მეთოდოლოგია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრად ჩვენ ვერ შევძელით

დაერწმუნებულიყავით საგადასახადო აქტივების სისრულესა და სისწორეში. გამომდინარე რომ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნული ფაქტის გავლენა არსებითია ჩვენი მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგენილ ანგარიშგებაზე მოდიფიცირებულია საკითხის შესაძლო გავლენის ეფექტის გათვალისწინებით მიმდინარე და შესადრის ინფორმაციაზე.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობით ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ზომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია, თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში. გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობითი ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად. „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“

საქართველოს კანონის მე -6 მუხლის მე -7 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილი, რომელიც თარიღდება 2021 წლის 29 დეკემბრით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან

საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზრდილ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს კომპანიის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩვენ ვართ პასუხისმგებელი კომპანიის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

29 დეკემბერი 2021

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

შპს „ფარმედი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
ქართულ ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		18,370	31,058
არამატერიალური აქტივები		13,105	15,402
გაცემული სესხები	8	-	4,993,967
საგადასახადო აქტივი	10	900,306	886,118
სულ გრძელვადიანი აქტივები		931,781	5,926,545
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	82,022	379,752
გაცემული სესხები	8	6,441,385	-
გადახდილი ავანსები		566,429	95,014
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	17,736,292	10,930,313
ფული და ფულადი ექვივალენტები	5	2,517,902	1,649,436
სულ მოკლევადიანი აქტივები		27,344,030	13,054,515
სულ აქტივები		28,275,811	18,981,060
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მფლობელთა კაპიტალი	9	122,790	122,790
გაუნაწილებელი მოგება		11,903,154	4,116,530
სულ მფლობელთა კაპიტალი		12,025,944	4,239,320
მიმდინარე ვალდებულებები			
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	16,249,867	14,285,646
საგადასახადო ვალდებულება		-	456,094
სულ მიმდინარე ვალდებულებები		16,249,867	14,741,740
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		28,275,811	18,981,060

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 29 დეკემბერი



დირექტორი

დირექტორი

ირინა გაბარაევა

მთავარი ბუღალტერი

შპს „ფარმედი“

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	12	34,615,206	25,263,672
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(17,227,288)	(14,921,396)
საერთო მოგება		17,387,918	10,342,276
მარკეტინგული ხარჯები	14	(4,734,681)	(6,164,407)
ლოგისტიკის ხარჯები	15	(991,793)	(866,394)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(5,030,074)	(2,091,629)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		6,631,370	1,219,846
წმინდა არასაოპერაციო შემოსავლები		122,557	4,397
საპროცენტო შემოსავალი		167,617	44,388
ფინანსური ხარჯი		(27,366)	(4,420)
წმინდა შედეგი სავალუტო გადაფასებიდან	17	892,445	199,106
მოგება დაბეგვრამდე		7,786,623	1,463,317
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		7,786,623	1,463,317
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		7,786,623	1,463,317

ხელმოწერა და დამტკიცება გამოსაშვებად 2021 წლის 29 დეკემბერი



დამირეგისტრირებული

დირექტორი

ორინა გაბარაევა

მთავარი ბუღალტერი

შპს „ფარმედი“
მფლობელთა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
ქართულ ლარში

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9	122,790	2,653,213	2,776,003
წლის მოგება				
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	1,463,318	1,463,318
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	-
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	122,790	1,463,318	1,463,318
წლის მოგება			4,116,531	4,239,321
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	7,786,623	7,786,623
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	-
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	122,790	7,786,623	7,786,623
			11,903,154	12,025,944

ხელმოწერების მიერ დაბეჭდილად გამოსაშვებად 2021 წლის 29 დეკემბერი

დამირეგისტრირებული

დირექტორი

ირინა გაბარაევა

მთავარი ბუღალტერი

შპს „ფარმედი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
ქართულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	შენიშვნა	2020	2019
წლის მოგება დაბეგვრამდე:		7,786,623	1,463,317
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	16	5,252	3,708
კურსთაშორის სხვაობა	17	(892,445)	(199,106)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	6	2,751,046	183,119
საპროცენტო შემოსავალი		(167,617)	(44,388)
საპროცენტო ხარჯი		27,366	4,420
სულ საოპ. ფულადი ნაკა. საბრუნავ კაპიტ. ცვლილებამდე		9,510,215	1,411,070
მარაგების ზრდა	7	301,765	(210,683)
გადახდილი ავანსების ზრდა		(471,415)	(27,229)
საგაჭრო მოთხოვნების ზრდა	6	(7,846,464)	(2,596,651)
საგაჭრო ვალდებულებების ზრდა	11	(268,272)	7,131,567
მიღებული ავანსების შემცირება/ზრდა		-	(63,261)
საგადასახადო აქტივების ზრდა	10	(14,188)	
საგადასახადო ვალდებულების შემცირება ზრდა		(456,094)	431,520
სულ ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(8,754,668)	4,665,263
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		755,547	6,076,333
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(14,730)	(28,762)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერა		24,475	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(6,505)
ბიზნესში გაცემულ სესხთან დაკავშირებული დროებითი		-	(886,118)
შენატანის ზრდა	10	-	
გაცემული სესხები	8	-	(5,033,075)
საპროცენტო შემოსავალი		-	44,388
საინვ. საქმ. გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		9,745	(5,910,072)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მფლობელების შენატანი კაპიტალში		-	-
მიღებული სესხები		954,180	252,197
გადახდილი სესხები		(954,180)	(256,933)
გადახდილი პროცენტი		(27,366)	(4,420)
საფ. საქმ. გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		(27,366)	(9,156)
წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		737,926	157,105
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვ. მდგომარეობით	5	1,649,436	1,140,041
კურს. სხვაობის გაელ. ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	17	130,540	352,290
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკ. მდგომარეობით	5	2,517,902	1,649,436

ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია გამოსაშვებად 2021 წლის 29 დეკემბერი

დამტკიცებულია

დირექტორი

ირინა გაბარევა

მთავარი ბუღალტერი

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

1. ანგარიშგების წარმდგენი პირი

ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს „ფარმედი“ (ს/კ 404558965) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2018 წლის 5 ივნისს. მისი იურიდიული მისამართია ლეონიძის ქუჩა №2, ძველი თბილისის რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მედიკამენტების შესყიდვა რეალიზაცია.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელს წარმოადგენს:

შპს ფარმედიკა პლიუსი (დედა კომპანია)	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
	100%	100%

საბოლოო მაკონტროლებელი პირი - ზორან ბუბალო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 86 (2019: 87)

2. სადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სადრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ჰიპოთეტური ოპერაციის შემთხვევაში.

როდესაც ხდება რეალური ღირებულების შეფასება, კომპანია იყენებს საჯაროდ გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

ნაკადის ანალიზს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

რეალური ღირებულების დადგენისას, გამოყენებული მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობის მიხედვით, იყოფა იერარქიის 3 დონედ:

დონე 1 - რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის მოქმედ ბაზრებზე კვოტირებული ფასები.

დონე 2 - რეალური ღირებულება ფასდება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1 -ში გათვალისწინებული კვოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება საჯაროდ, პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით).

დონე 3 - რეალური ღირებულება ფასდება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

შემოსავალი

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საკონტინგენტის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასაზღვრავს დაპირებული საკონტინგენტის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების დასადგენად გამოიყენება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდი. მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ საშუალო მდგომარეობაში მოყვანასთან.

შპს „ფარმედი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემცირებული ნაშთის მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

- საოფისე ავეჯი და მოწყობილობები 20%;

ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტენტის და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშში, შემცირებადი ნაშთის გამოყენებით, განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგაა:

- პროგრამული უზრინველყოფა 10 წლამდე;
- სხვა არამატერიალური აქტივები 10 წლამდე;

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

მფლობელთა კაპიტალი.

მფლობელთა კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მეწილეების მიერ მის საკუთარ კაპიტალში შეტანილი თანხებისა და აქტივების შეტანის თარიღისთვის შეფასებულ რეალურ ღირებულებას.

დივიდენდები

დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული წებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფინანსური აქტივები, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები.

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში ფასდება და აღირიცხება სამუშაო ვალუტაში გარიგების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების თარიღის ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთა შორის სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში. გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

აქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური
გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	1000 სუმი
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.2766	4.0233	0.3127
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095	0.3013
საშ. გაცვლ. კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის დასრ. წლისათვის	3.1097	3.5519	0.3093
საშ. გაცვლ. კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის დასრ. წლისათვის	2.8192	3.1553	0.3185

მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

გაქვითვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გაქვითულად აღირიცხება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს თანხების გაქვითვის კანონიერი უფლება, და არსებობს განზრახვა მოხდეს ურთიერთგაგება ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულების დარეგულირება ერთდროულად.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხულია სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციული დანახარჯის გათვალისწინებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ბიზნესმოდელი.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელზე. ბიზნესმოდელის შეფასების დროს კომპანია აფასებს პერიოდის განმავლობაში გაყიდული საგალო ფინანსური ინსტრუმენტების არსებობას პორტფელის ღირებულებასთან მიმართებაში იმ პირობით, რომ გაყიდვა არ ხდება კრედიტის გაუფასურებით გამოწვეული პოტენციური ზარალის მინიმიზირებისთვის, იქიდან გამომდინარე, რომ პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ მოუხდენია საგალო ფინანსური აქტივების გაყიდვა, მისი ბიზნესმოდელი და შესაბამისად მისი საგალო ფინანსური აქტივები აკმაყოფილებენ „ამოღებისთვის ფლობილობის“ კრიტერიუმს.

ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

თუ ბიზნეს-მოდელი არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად, კომპანია აფასებს წარმოდგენილია თუ არა ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებით („SPPI“). შეფასებისას კომპანია განიხილავს შეესაბამება თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ე.ი. პროცენტი მოიცავს მხოლოდ საკრედიტო რისკის, ფულის დროითი ღირებულების, სხვა საბაზო საკრედიტო რისკების და მოგების კოფიციენტის ასპექტს. თუ სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც არ შეესაბამება საბაზო საკრედიტო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), კომპანიას არ ჰქონია ასეთი კატეგორიის ფინანსური აქტივები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. SPPI შეფასება ხორციელდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდგომ არ ხდება მისი გადახედვა.

შეფასების კატეგორიები.

საგალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნესმოდელზე დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვასა და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის საგალო ფინანსური აქტივები აკმაყოფილებენ ორივე კრიტერიუმს, კომპანია ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას შესაბამის კატეგორიაში და ახორციელებს მის შემდგომ შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით (AC).

ამორტიზირებული ღირებულება.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარებული იყო თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი სესხის ძირი თანხის დასაფარად განხორციელებული გადახდები, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში - გამოკლებული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ანარიცხი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ზარალის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, რათა მიღწეულ იქნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) წილობრივ/პროცენტულ გამოხატულებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს შეფასებული მომავალი ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შესავლების (მათ შორის საკრედიტო დანაკარგების), ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებაში დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მომსახურების სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში. დღევანდელი ღირებულების გათვლები მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის ყველა გადახდილ ან მიღებულ გადასახადს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

კომპანია აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECL) და აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება ასახავს: (i) მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ თანხას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების შეფასებით, (ii) ფულის დროით ღირებულებას და (iii) ყველა გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარგების ან ძალისხმევების გარეშე, თითოეული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გასული მოვლენების, არსებული პირობების და მომავალი პირობების პროგნოზების შესახებ ჯგუფი იყენებს გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება კრედიტის ხარისხის ცვლილებებს თავდაპირველი აღიარების შემდეგ:

ეტაპი 1: ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული (საკრედიტო თვალსაზრისით) თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირებულია 1-ელ ეტაპზე. ფინანსურ აქტივებს 1-ელ ეტაპზე გააჩნიათ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL), რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადის იმ ნაწილის ტოლი მოცულობით, რომელიც მიიღება დეფოლტის მოვლენებიდან, რომლებიც შესაძლოა მოხდეს მომდევნო 12 თვის განმავლობაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაფარვის ვადამდე, თუ აღნიშნული ვადა უფრო მოკლეა („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“).

ეტაპი 2: თუ ჯგუფი დაადგენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას („SICR“) თავდაპირველი აღიარებიდან, აქტივი გადავა მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) შეფასდება ECL-ს მოქმედების ვადის (არსებობის) საფუძველზე („ECL მოქმედების /არსებობის ვადა“). იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა („SICR“) აღარ აღინიშნება, ინსტრუმენტი გადავა უკან 1-ელ ეტაპზე.

ეტაპი 3: საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივები გადადის მე-3 ეტაპზე და აღიარებულია ECL მოქმედების /არსებობის ვადის ანარიცხი. ჯგუფის მიერ საკრედიტო თვალსაზრისით გაუფასურებული აქტივების განსაზღვრება და დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნება ერთი ან მეტი ზარალის შემთხვევის დადგომას.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის დროსაც ფასდება მთლიანი მოსალოდნელი ზარალი აქტივებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება საკრედიტო რისკების მახასიათებლებისა და გადაცილებული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ECL) ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამისი ანარიცხით, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა

ფინანსური აქტივების ჩამოწერა ხდება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანია ამოწურავს მათი ამოღების ყველა პრაქტიკულ საშუალებას და დაასკვნის, რომ არ არსებობს მათი აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა ნიშნავს აღიარების შეწყვეტას. მათი ანაზღაურების გონივრული მოლოდინის არ არსებობის მაჩვენებლებია, მათ შორის, კომპანიის ვალის დაფარვის გეგმაში მოვალის მონაწილეობის უუნარობა და 300 დღეზე ზევით პერიოდში ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის შეუძლებლობა. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ის ფინანსური აქტივები, რომელიც ჯერ კიდევ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას, როდესაც კომპანია ცდილობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურებას, თუმცა არ არსებობს მათი აღდგენის გონივრული მოლოდინი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით.

აღიარების შეწყვეტა.

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შესრულებდა - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და

დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღერულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით, როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

3. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ დაწერა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ყველა ახალი და შესწორებული სტანდარტი, რომელიც სავალდებულო იყო მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის.

კომპანიას არ დაუწერგავს ახალი და შესწორებული სტანდარტები ან ინტერპრეტაციები, რომლებიც მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისათვის არ იყო სავალდებულო.

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7) და
- „კოვიდ-19“-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული ფისკალური წლისთვის.

ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. კომპანიამ შეაფასა, შესაძლებლობისამებრ, ყველა ამ ახალი სტანდარტისა და ცვლილების შესაძლო გავლენა, რომელიც ძალაში შევა მომავალი პერიოდებისთვის.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დირექტულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ბირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

ორგანიზაციას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

4. კოვიდის გავლენის ასახვა ბიზნეს გარემოზე

COVID-19 პანდემიამ და ვირუსის სწრაფი გავრცელების ასაცილებლად შემოღებულმა შეზღუდვებმა გლობალური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. პანდემიის შედეგად საქართველოში ბიზნეს აქტიუობა მნიშვნელოვნად შემცირდება. პანდემიის სწრაფი გავრცელების შეკავებისთვის შემოღებული შეზღუდვები ეკონომიკურ საქმიანობაზე უარყოფითად აისახა. კორონავირუსის შედეგები შეიძლება იყოს ძალიან ფართოდ გავრცელებული და ბევრ ინდუსტრიას შეეხოს თუმცა ყველაზე მნიშვნელოვნად დაზარალდა ტურიზმის სექტორი. კრიზისის უარყოფითი შედეგების შესარბილებლად მთავრობის მიერ გატარებული იქნა ღონისძიებები, როგორებიცაა მიზნობრივი მხარდაჭერა მოწყვლადი ჯგუფებისათვის სესხის გადავადების, სუბსიდირების პროგრამის და საგადასახადო შეღავათების სახით. შეზღუდვები არ შეეხო რეექსპორტს და შესაბამისად კომპანიის ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე კოვიდის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე მინიმალურია. კომპანიის ოპერაციებზე კოვიდ პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
ფული საბანკო ანგარიშზე უზოურ ვალუტაში	34,406	14,481
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	2,483,496	1,634,955
სულ	5,517,902	1,649,436

ფული საბანკო ანგარიშზე განთავსებულია ქვეყნის წამყვან ბანკებში.
სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის არ არსებობს.
კურსთაშორის სხვაობის გავლენა იხილეთ განმარტებით შენიშვნა N 17-ში.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო მოთხოვნები	20,670,257	11,112,332
სხვა მოთხოვნები	200	1,100
სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები	(2,934,165)	(183,119)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ანარიცხების გამოკლებით	17,736,292	10,930,313

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2018	
დარიცხვა წლის განმავლობაში	-
31 დეკემბერი 2019	(183,119)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(183,119)
31 დეკემბერი 2020	(2,751,046)
	(2,934,165)

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალურ და საბალანსო ღირებულებებს შორის.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს საკრედიტო რისკის მიხედვით აჯგუფებს შემდეგნაირად :

ტიპი #1	რისკის დონე
ტიპი #2	დაბალი
ტიპი #3	საშუალო
ტიპი #4	მაღალი
	დეფოლტი

შემდეგ სხვადასხვა რისკიანობის მოთხოვნებისთვის ანარიცხის დათვლა ხდება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

ვადაგადაცილება	0-190 ვადაგადაცილება	191-300 ვადაგადაცილება	> 300 ვადაგადაცილება
გაუფასურება #1 ტიპის მოთხოვნებზე	0%	20%	100%
გაუფასურება #2 ტიპის მოთხოვნებზე	0%	25%	100%
გაუფასურება #3 ტიპის მოთხოვნებზე	0%	50%	100%
გაუფასურება #4 ტიპის მოთხოვნებზე	50%	100%	100%

2020 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გაუფასურებისა და ხანდაზმულობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილება	0-190 ვადაგადაცილება	191-300 ვადაგადაცილება	> 300 ვადაგადაცილება	სულ
#1 ტიპის მოთხოვნები	16,506,112	1,537,725	2,626,621	20,670,458
#2 ტიპის მოთხოვნები	-	-	-	-
#3 ტიპის მოთხოვნები	-	-	-	-
#4 ტიპის მოთხოვნები	-	-	-	-
სულ	16,506,112	1,537,725	2,626,621	20,670,458
სულ ანარიცხის მოცულობა	-	(307,545)	(2,626,621)	(2,934,165)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ანარიცხის გამოკლებით	16,506,112	1,230,180	-	17,736,292

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

2019 წლის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე გაუფასურებისა და ხანდაზმულობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ:

	0-190	191-300	> 300	სულ
ვადაგადაცილება	ვადაგადაცილება	ვადაგადაცილება	ვადაგადაცილება	
#1 ტიპის მოთხოვნები	10,216,420	892,366	4,646	11,113,432
#2 ტიპის მოთხოვნები	-	-	-	-
#3 ტიპის მოთხოვნები	-	-	-	-
#4 ტიპის მოთხოვნები	-	-	-	-
სულ	10,216,420	892,366	4,646	11,113,432
სულ ანარიცხის მოცულობა	-	(178,473)	(4,646)	(183,119)
სუკ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ანარიცხის გამოკლებით	10,216,420	713,893	-	10,930,313

კურსთაშორის სხვაობის ეფექტი იხილეთ განმარტებით შენიშვნა N 17-ში

7. მარაგები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
მედიკამენტები	82,022	378,253
სხვა მარაგები	-	1,500
სულ	82,022	379,752

8. გაცემული სესხები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სესხის ძირი	6,236,132	4,974,637
მისაღები პროცენტი	205,253	19,330
სულ	6,441,385	4,993,967

სესხი გაცემულია კომპანიებზე "MARIFARM" და "PHARMACEPTICAL BALKANS". შპს "MARIFARM" - ზე სესხის გაცემის თარიღია 2019 წლის 5 ნოემბერი ხოლო შპს "PHARMACEPTICAL BALKANS" - ზე 2019 წლის 30 ივლისი. გაცემული სესხების დაფარვის პერიოდია 2021 წლის 31 დეკემბერი. სესხები გაცემულია წლიურ 2,9%-ში.

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სესხის ნაშთის ცვლილება:

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
სესხის გაცემა	5,013,745
სესხის დაბრუნება	-
დარიცხული პროცენტი	19,330
საკურსო სხვაობა	(39,108)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,993,967
სესხის გაცემა	-
სესხის დაბრუნება	-
დარიცხული პროცენტი	167,617
საკურსო სხვაობა	1,279,801
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,441,385

კომპანიას გაცემული აქვს ორი სესხი ევროკავშირში რეგისტრირებულ ფარმაცევტულ დარგში მომუშავე კომპანიებზე. სესხები არის არაუზრუნველყოფილი და საანგარიშგებო თარიღისთვის ისინი საკრედიტო რისკის შეფასების მოდელში მოიაზრებიან პირველ ეტაპზე. უმნიშვნელო საკრედიტო რისკიდან გამომდინარე საანგარიშგებო თარიღისთვის გაუფასურების ანარიცხი უდრის (0)-ს.

9. მფლობელთა კაპიტალი

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 122,790 ლარი. შენატანი განხორციელდა საბანკო ანგარიშზე ფულადი სახით 2018 წლის 5 ივლისს.

10. საგადასახადო აქტივი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო აქტივმა შეადგინა 900,303 ლარი, კომპანიას გაცემული აქვს გრძელვადიანი სესხები და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე დაბეგრულია მოგების გადასახადით, სესხის დაბრუნების დროს კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს დაბრუნებული სესხის თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული გადახდილი მოგების გადასახადი 886,118 ლარის ოდენობით, სხვა საგადასახადო აქტივს შეადგენს წინასწარ გადახდილი დღგ.

11. სავაჭრო ვალდებულებები

	31-დეკ-20	31-დეკ-19
სავაჭრო ვალდებულებები	16,217,229	14,284,997
სხვა ვალდებულებები	32,638	649
სულ	16,249,867	14,285,646

საბალანსო და სამართლიანი ღირებულება სავაჭრო ვალდებულებების არ განსხვავდება.

კურსთაშორის სხვაობის ეფექტი იხილეთ განმარტებით შენიშვნა N17-ში

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

12. შემოსავალი

შემოსავალი ქვეყნების მიხედვით :

	2020	2019
აზერბაიჯანი	230,846	605,198
უზბეკეთი	34,384,360	24,658,474
სულ	34,615,206	25,263,672

სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით კლასიფიცირებული 2020 წლის შემოსავალი წარმოდგენილია ქვემოთ:

	აზერბაიჯანი	უზბეკეთი	სულ
საქონლისა და მომსახურების გადაცემის დრო დროის კონკრეტულ მომენტში	230,846	34,384,360	34,615,206

სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით კლასიფიცირებული 2019 წლის შემოსავალი წარმოდგენილია ქვემოთ:

	აზერბაიჯანი	უზბეკეთი	სულ
საქონლისა და მომსახურების გადაცემის დრო დროის კონკრეტულ მომენტში	605,198	24,658,474	25,263,672

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
რეალიზაცია აზერბაიჯანში	193,880	517,507
რეალიზაცია უზბეკეთში	17,033,408	14,403,889
სულ	17,227,288	14,921,396

14. მარკეტინგული ხარჯები

	2020	2019
ღონისძიებებთან დაკავშირებული ხარჯები	639,791	2,246,921
შრომის ანაზღაურება	4,094,890	3,917,486
სულ	4,734,681	6,164,407

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების გამმართველთა შენიშვნები
ქართულ ლარში

15. ლოგისტიკის ხარჯები

	2020	2019
ტრანსპორტირების ხარჯები	542,691	392,345
საბაჟო ტერმინალის ხარჯი	409,330	450,324
შრომის ანაზღაურება	39,772	23,725
სულ	991,793	866,394

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	1,615,192	1,294,752
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	2,751,046	183,119
იჯარის ხარჯი	264,299	244,197
ინფორმაციული ტექნოლოგიების ხარჯი	74,505	35,400
აუდიტის ხარჯი	27,938	25,557
საბანკო ხარჯი	26,232	44,208
დაზღვევის ხარჯი	11,868	12,161
საკანცელარიო ხარჯი	5,688	16,816
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	5,242	3,708
მივლინების ხარჯი	3,814	74,911
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	244,250	78,442
სულ	5,030,074	2,091,629

17. კურსთაშორის სხვაობის ეფექტი

	2020	2019
მოგება საკურსო სხვაობაში	18,623,591	11,591,237
ზარალი საკურსო სხვაობაში	(17,731,144)	(11,392,132)
წმინდა პოზიცია	892,445	199,106

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

	2020	2019
მოგება საკურსო სხვაობაში	18,623,591	11,591,237
ფული და ფულის ექვივალენტები	1,036,075	4,580,898
სავაჭრო მოთხოვნები	4,918,794	1,670,227
მარაგები	4,034	-
გაცემული სესხები	1,994,920	24,630
მიღებული სესხები	67,696	248
სავაჭრო ვალდებულებები	10,602,072	5,315,234
ზარალი საკურსო სხვაობაში	17,731,144	11,392,132
ფული და ფულის ექვივალენტები	905,535	4,228,611
სავაჭრო მოთხოვნები	3,208,232	708,124
მარაგები	-	8,483
გაცემული სესხები	708,625	63,738
მიღებული სესხები	95,929	4,985
სავაჭრო ვალდებულებები	12,812,825	6,378,190
წმინდა პოზიცია	892,445	199,106

18. ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი;
 - სავალუტო რისკი,

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,517,902	1,649,436
სავაჭრო მოთხოვნები	17,736,292	10,929,213
გაცემული სესხები	6,441,385	4,993,967
მოთხოვნები ბიუჯეტიდან	900,306	886,118
სულ ფინანსური აქტივები	27,595,885	18,459,834
სავაჭრო ვალდებულებები	16,249,867	14,285,646
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,249,867	14,285,646

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივების სავალუტო რისკის პოზიცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	ფული და ფულის ექვივალენტ ები	სავაჭრო მოთხოვნები	გაცემუ ლი სესხი	მოთხოვნ ები ბიუჯეტად ან	სულ
ფინანსური აქტივები					
ლარი	34,406	-	-	900,306	934,712
ევრო	2,145	-	-	-	2,145
დოლარი	2,363,228	17,736,292	6,441,385	-	26,540,905
უზბეკური სუმი	118,123	-	-	-	118,123
სულ ფინანსური აქტივები	2,517,902	17,736,292	6,441,385	900,306	27,595,885

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივების სავალუტო რისკის პოზიცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

	ფული და ფულის ექვივალენტები	სავაჭრო მოთხოვნები	გაცემული სესხი	მოთხოვნებ ი ბიუჯეტადან	სულ
ლარი	14,363	-	-	886,118	900,481
ევრო	1,572	-	-	-	1,572
დოლარი	1,602,616	10,930,313	4,993,967	-	17,526,896
აზერბაიჯანული	13,849	-	-	-	13,849
უზბეკური სუმი	17,036	-	-	-	17,036
სულ ფინანსური აქტივები	1,649,436	10,930,313	4,993,967	886,118	18,459,834

კომპანიის ფინანსური ვალდებულებების სავალუტო რისკის პოზიცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

დოლარი	31-დეკ-20	31-დეკ-19
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,249,867	14,285,646
	16,249,867	14,285,646

შესაბამისი ვალუტის 10%-იანი გაუფასურებით გამოწვეული ეფექტი კომპანიის წმინდა აქტივებზე წარმოდგენილია ქვემოთ:

ევროს კურსის გავლენა 2020 წლისთვის 215 ლარი (2019:157)

შპს „ფარმედი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ქართულ ლარში

დოლარის კურსის გავლენა 2020 წლისთვის 835,734 ლარი (2019: 324,125)

უზბეკური სუმის კურსის გავლენა 2020 წლისთვის 11,812 ლარი (2019: 1,704)

უზბეკური სუმის კურსის გავლენა 2020 წლისთვის 0 ლარი (2019: 1,385)

საპროცენტო რისკი

კომპანიის საპროცენტო რისკი დაკავშირებულია გაცემულ სესხებთან. აღნიშნულ სესხებს აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი და აქვთ 1 წელზე მეტი ხანგრძლივობა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

ლიკვიდურობის რისკი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

ქვემოთ წარმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობისა და სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი ვადიანობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,517,902	-	-	2,517,902
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17,736,292	-	-	17,736,292
მოთხოვნები ბიუჯეტიდან	14,188	886,118	-	900,306
გაცემული სესხები	6,441,385	-	-	6,441,385
სულ ფინანსური აქტივები	26,709,767	886,118	-	27,535,885
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	16,249,867	-	-	16,249,867
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,249,867	-	-	16,249,867
წმინდა პოზიცია	10,459,900	886,118	-	11,346,018

შპს „ფარმედი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 ქართულ ლარში

ქვემოთ წარმოდგენილია საგაჭრო ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობისა და საგაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი ვადიანობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 და 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,649,436	-	-	1,649,436
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,930,313			10,930,313
გაცემული სესხები	-	4,993,967	-	4,993,967
მოთხოვნები ბიუჯეტიდან	-	886,118	-	886,118
სულ ფინანსური აქტივები	12,579,749	5,880,085	-	18,459,834
ფინანსური ვალდებულებები				
საგაჭრო ვალდებულებები	14,285,646			14,285,646
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,285,646			14,285,646
წმინდა პოზიცია	(1,705,897)	5,880,085		4,174,188

19. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება კომპანიის მიერ გამოითვლება საბაზრო ინფორმაციის, მისი არსებობის შემთხვევაში და შესაბამისი შეფასების მეთოდების საფუძველზე. თუმცა საბაზრო ინფორმაციის ინტერპრეტაციისთვის რეალური ღირებულების დადგენის მიზნით აუცილებელია პროფესიული მსჯელობის გამოყენება.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს რეალური ღირებულების იერარქიას 2020 წლის მდგომარეობით:

	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	2,517,902	-	-
საგაჭრო მოთხოვნები	-	-	17,736,292
გაცემული სესხები	-	-	6,441,385
მოთხოვნები ბიუჯეტიდან	-	-	900,306
სულ აქტივები	2,517,902	-	25,077,983
ვალდებულებები			
საგაჭრო ვალდებულებები			16,249,867
სულ ვალდებულებები			16,249,867

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს რეალური ღირებულების იერარქიას 2019 წლის მდგომარეობით:

შპს „ფარმედი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 ქართულ ლარში

	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	1,649,436	-	-
საგაჭრო მოთხოვნები	-	-	10,929,213
გაცემული სესხები	-	-	4,993,967
მოთხოვნები ბიუჯეტიდან	-	-	886,118
სულ აქტივები	1,649,436	-	16,810,398
ვალდებულებები			
საგაჭრო ვალდებულებები	-	-	14,285,646
სულ ვალდებულებები	-	-	14,285,646

პერიოდის განმავლობაში დონეებს შორის მოძრაობა არ განხორციელებულა.

20. დაკავშირებული მხარეები

მფობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სრულად მფლობელი, მმართველი პირი და 100% მოგების წილის მფლობელი არის შპს ფარმედიკა პლიუსი, 21283894 /სერბეთი/.

ოპერაციები მმართველ რგოლთან

წლის განმავლობაში მმართველმა რგოლმა მიიღო შემდგომი კომპენსაცია:

ლარი	2020	2019
ხელფასები და ბონუსები	355,576	293,299

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი მოვლენა.

არესემ საქართველოს

ფალიაშვილის ქ. 85,

თბილისი 0162

ბატონებო,

ამ წერილს გწერთ შპს "ფარმედის" 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.

კომპანიის მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ვადასტურებთ, რომ:

1. ჩვენ შევასრულეთ დაკისრებული პასუხისმგებლობა და წარმოვადგინეთ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად და უტყუარად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.
2. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ვადასტურებ ჩვენი ხელმოწერით.
3. ჩვენ შევასრულეთ დაკისრებული პასუხისმგებლობა წარმოვადგინა ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია. თქვენთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ ჩვენთვის ცნობილი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის შესაფერისი ყველა ინფორმაცია, როგორებიცაა სააღრიცხვო ჩანაწერები, დოკუმენტაციები და სხვა. აღნიშნული ჩანაწერები სრულად ასახავს კომპანიის მიერ გახორციელებულ თითოეული ოპერაციას პერიოდის განმავლობაში.
4. ვადასტურებთ ჩვენს პასუხისმგებლობას შიდა კონტროლის შემუშავებასა და დანერგვაზე, რათა თავიდან ავიცილოთ ან აღმოვფხვრათ თაღლითობა.
5. ვადასტურებთ, რომ არ გვსმენია არანაირი სახის ინფორმაცია თაღლითობის შესახებ და არ გავგჩენია ეჭვი თაღლითობის შესახებ, რომელშიც ჩართული იქნებოდა მენეჯმენტი ან თანამშრომლები, რომლებიც ჩართული არიან შიდა კონტროლში.
6. ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს არც დაზუსტებული ინფორმაცია და არც ეჭვი თაღლითობასთან ან სავარაუდო თაღლითობასთან დაკავშირებით, რასაც შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგების მომზადებაზე.
7. ვადასტურებთ, რომ ჩვენ არ ვართ ინფორმირებული რაიმე სახის თაღლითობის ან სავარაუდო თაღლითობის შესახებ რომელიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ

ანგარიშგებაზე და რომელიც გვაცნობეს თანამშრომლებმა, ყოფილმა თანამშრომლებმა, ანალიტიკოსებმა, მარეგულირებელმა ორგანოებმა და სხვა მესამე მხარის წარმომადგენლებმა.

8. ვადასტურებთ, რომ არ გვაქვს კანონმდებლობასთან შეუსაბამობა ან სავარაუდო შეუსაბამობა, რომელსაც შეიძლება არსებითი გავლენა მოეხდინა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.
9. ჩვენ ვადასტურებთ რომ ჩვენი აზრით დაშვებები რომლებიც გამოყენებულ იქნა სამართლიანი ღირებულების ან სხვა მსგავსი კონცეფციის განსაზღვრისთვის წარმოვადგინეთ განმარტებებში ან ჩართულია ფინანსურ ანგარიშგებებში და ასახავს ჩვენს მიდგომას და სამოქმედო კურსს მსგავსი ღირებულებების განსაზღვრისას.
10. ჩვენ ვადასტურებთ თქვენთვის დაკავშირებულ მხარეების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციის შესაბამისობას IAS24-თან
11. ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წლის განმავლობაში არ გახორციელებულა მატერიალური ოპერაცია რომელიმე დაკავშირებულ მხარესთან, რომელიც არსებით გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
12. არც დირექტორს და არც ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლებს არ აქვთ სხვა რაიმე პირადი ინტერესი, შეთანხმება ან ვალდებულება რაც არ ეხება კომპანიის საქმიანობას, გარდა იმისა, რაც არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.
13. მენეჯმენტს არ აქვს რაიმე გეგმა ან განზრახვა, რომელიც მატერიალურად შეცვლიდა ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას ან გამოიწვევდა აქტივების განსხვავებულ კლასიფიკაციას.
14. კომპანიას აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივის განკარგვის უფლება რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში და არ გააჩნია სხვა აქტივები გარდა ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილისა.
15. ჩვენ მოგაწოდეთ სრულყოფილი ინფორმაცია კომპანიის ვალდებულებების შესახებ.
16. გარდა ფინანსური ანგარიშგებებში განმარტებულია, ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის არ მომხდარა მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან საჭირო გახდებოდა დამატებითი განმარტებები.
17. კომპანიამ შეასრულა სახელშეკრულებო შეთანხმებების ყველა პუნქტი, რომელსაც შეეძლო მატერიალური გავლენა მოეხდინა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.
18. ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში სრულყოფილად და სწორადაა წარმოდგენილი ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებსაც აქვთ კონტროლი ან გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.
19. გარდა ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აღნიშნულისა, წლის შედეგებზე მატერიალური გავლენა არ მოუხდენია:
 - საანგარიშგებო პოლიტიკის ცვლილებას;
 - კომპანიისთვის არადადამახასიათებელი ოპერაციის გახორციელებას;
 - გამონაკლის შემთხვევებს ან არაგანმეორებადი ტიპის ტრანზაქციებს;

- წინა პერიოდთან დაკავშირებულ ხარჯებს ან სესხებს.
20. ჩვენ ვადასტურებთ, რომ კომპანიას არ აქვს მიმდინარე ან მოსალოდნელი დავები და არ არსებობს არსებითი სიდიდის მოსალოდნელი ვალდებულება, რომელთან დაკავშირებითაც არ გაკეთებულა ანარიცხები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გარდა წარმოდგენილი ინფორმაციისა.
21. ვადასტურებთ, რომ განვახორციელეთ საწარმოს უნარის - განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ - შეფასება და ვეთანხმებით, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული უნდა იყოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება. ამ დასკვნისათვის გავითვალისწინეთ ჩვენთვის ცნობილი ყველა შესაბამისი საკითხი და გავაანალიზეთ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ მომდევნო ერთ წელი.
22. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარმოდგენისათვის, არ არის საჭირო, ახსნა-განმარტებით შენიშვნებში მიეთითოს რაიმე, ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებით.
23. ჩვენ გვჯერა რომ კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას განხორციელდა გონივრული მნიშვნელოვანი დაშვებები.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული ეფუძნება მენეჯმენტის და შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებისაგან (ზოლო სადაც შესაძლებელია, დამხმარე დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე) მიღებულ ინფრომაციას, რომელიც ჩვენთვის საკმარისია, რათა დაგიდასტუროთ ყოველივე ზემოაღნიშნული.

29 დეკემბერი 2021

პატივისცემით,

ირინა გაბარაევა

მთავარი ბუღალტერი

დმიტრი ვასილენკო

დირექტორი



მმართველობითი ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა	2
მისია	2
კომპანიის განვითარების გეგმები	2
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების და მისი განვითარების მიმოხილვა	2
ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	3
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და უნფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	3
საკრედიტო რისკი	3
ლიკვიდურობის რისკი	3
საბაზრო რისკი	3
სავალუტო რისკი	4
საპროცენტო განაკვეთის რისკი	4
ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ	4
ინფორმაცია ფინანსური მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ	4

საქმიანობის მიმოხილვა

შპს ფარმედი დაარსდა 2018 წელს 100%-იანი უცხოური ინვესტიციით. კომპანიის 100 % მფლობელი არის სერბული კომპანია ფარმედიკა პლიუსი. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტზე გატანა. ძირითადი საექსპორტო ქვეყნებია აზერბაიჯანის რესპუბლიკა და უზბეკეთის რესპუბლიკა.

ძირითადი პრინციპები

- კომპანია უზრუნველყოფს ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით,
- კომპანია იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ მიდგომებსა და მეთოდებს ყოველდღიურ საქმიანობაში;
- კომპანია ითვალისწინებს ფარმაცევტული ბაზრის გამოწვევებს და მუდმივად ზრუნავს ახალი ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდებაზე.

ამოცანები კომპანიის

- კომპანიის ამოცანებია არსებულ ბაზრებზე ახალი პროდუქტების მიწოდება;
- ახალ საექსპორტო ბაზრებზე გასვლა,
- გაყიდვების მოცულობის გაზრდა .

მისია

შპს ფარმედის მიზანია საერთაშორისო სტანდარტებით წარმოებული ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდება სხვადასხვა ქვეყნებში . ახალი გასაღების ბაზრების მოპოვება და მუდმივად ზრუნვა მაღალი სტანდარტებით წარმოებული ფარმაცევტული პროდუქციის ასორტიმენტის რდაზე.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანიას დაგეგმილი აქვს ახალ საექსპორტო ბაზრებზე გასვლა, აგრეთვე საქართველოშიც აქტიური გაყიდვების დაწყება. არსებულ საექსპორტო ბაზრებზე გაყიდვების მოცულობის გაზრდა, ახალი ფარმაცევტული პროდუქტების შეთავაზება მომხარებლებისთვის.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიის არ აქვს ჩატარებული კვლევები

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ფარმედმა 2018 წელს გახსნა წარმომადგენლობები უზბეკეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში. ძირითადი ფუნქცია წარმომადგენლობების ინფორმაციის გავრცელება კომპანიის პროდუქტების შესახებ. 2018 წლის სექტემბრის თვიდან დღემდე კომპანია წარმოდგენილია უზბეკეთში დარეგისტრირებული წარმომადგენლობით და გახსნილია ერთი წარმომადგენლობითი ოფისი.

აზერბაიჯანში კომპანიამ გახსნა ერთი წარმომადგენლობითი ოფისი 2018 წლის ნოემბრიდან 2020 წლის თებერვლამდე ფუნქციონირებდა. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება წარმომადგენლობის დახურვის შესახებ და გადავიდა ბიზნესის წარმოების ახალ მოდელზე. ექსკლუზიური დისტრიბუტორის მეშვეობით კომპანია აგრძელებს მუშაობას აზერბაიჯანის ბაზარზე.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და უნფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ძირითად რისკს განეკუთვნება შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი რეგულაციის შემოღება, რაც მომავალში იმპორტირებულ და ექსპორტირებულ პროდუქციას შეიძლება შეეხო, ან გამოიწვიოს მეწარმის სამომავლო გეგმების და განვითარების გადახედვა კონკრეტული რეგულაციებიდან გამომდინარე. COVID-19-თან დაკავშირებული პანდემია მნიშვნელოვანი გამოწვევა აღმოჩნდა როგორც ქვეყნისთვის, ისე ბიზნესისთვის. მიუხედავად კრიზისული სიტუაციისა და ქვეყანაში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა კომპანიას არ შეუწყვეტავთ სამედიცინო პროდუქტის რეალიზაცია. ხელმძღვანელობა აკვირდება ვითარებას საქართველოში ასევე საექსპორტო ბაზრებზე და მართავს საკუთარ მარაგებს, ლიკვიდურობას და საოპერაციო საქმიანობას. კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ექვექვეშ დააყენოს კომპანიის გაგრძელების უნარი როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

საკრედიტო რისკი

კომპანიაში არ არსებობს საკრედიტო რისკი, კომპანიას არ გააჩნია საბანკო ვალდებულებები.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიაში არ არსებობს ლიკვიდურობის რისკი, კომპანიას საკმარისად გააჩნია სწრაფად ლიკვიდური აქტივები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი ყოველთვის არსებობს, ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე ხშირია სხვადასხვა ტიპის მარკეტინგული აქტივობები, რაც მოითხოვს პერმანენტულ ცვლილებებს საოპერაციო საქმიანობაში. აღნიშნული ცვლილებები საჭიროებს სწრაფ განხორციელებას, მოცემულს კი უნდა მიჰყვეს ეფექტური კონტროლის მექანიზმები, რომ არ გაიზარდოს შეცდომების ალბათობა.

სავალუტო რისკი

შპს ფარმედის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იმ ქვეყნებში სადაც კომპანიას აქვს საქმიანობა არის მაკროეკონომიკური მდგრალობა და ვალუტის კურსის ხშირი ცვლილებები. ბუნებრივია, რომ არასტაბილურ გარემოში, არასტაბილურია მომხმარებლის გადახდისუნარიანობა, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება მომხმარებლების მიერ ვალდებულებების დროულად შესრულებაზე. რისკის შემცირების მიზნით კომპანიამ მომხმარებლების უმრავლესობა გადაიყვანა წინასწარ გადახდაზე. კომპანია რეალიზაციას ახდენს აშშ დოლარში, რაც ამცირებს სავალუტო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი კომპანიაში არ არსებობს, კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო ვალდებულებები

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

საანგარიშო პეროდში არ მომხდარა წილის და აქციების შეძენა.

ინფორმაცია ფინანსური მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

კომპანიის მმართველობის სტრუქტურა მორგებულია გახდა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. შპს ფარმედში გადაწყვეტილებების იღებს დირექტორი, რომელიც ანგარიშვალდებულია სერბული ფარმამედიკა პლიუსის წინაშე. კორპორაციული მმართველობის განუყოფელი ნაწილი გახდა შიდა კონტროლი და წარმომადგენლობების რეგლამენტი, სადაც მკაცრად გაწერილია ნებდართული სამეურნეო ოპერაციების ნუსხა და თანხობრივი ლიმიტები. წარმომადგენლობების ანგარიშგება და ოპერაციების შიდა კონტროლი მიმდინარეობს ყოველთვიურად. კომპანიაში დანერგილია შიდა პროცედურების გაწერილი პოლიტიკა; კომპანიაში ყოველი სამსახურისათვის ჩამოყალიბებულია პროცედურული შიდა პოლიტიკის დოკუმენტაცი, რომელიც მოიცავს ამ სამსახურის ფუნქცია მოვალეობებს, ანგარიშგების ფორმებსა და ვადებს.

კომპანიას დაგეგმილი აქვს ახალ საექსპორტო ბაზრებზე გასვლა, აგრეთვე საქართველოშიც აქტიური გაყიდვების დაწყება. არსებულ საექსპორტო ბაზრებზე გაყიდვების მოცულობის გაზრდა, ახალი ფარმაცევტული პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლებისთვის. ფარმედის სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

